

მედია და NGO–ები საპატრიარქოს აკრიტიკებენ



მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები საქართველოს საპატრიარქოს მიერ გუშინ გავრცელებულ განცხადებას ეხმაურებიან და მას გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისკენ მიმართულ გადაწყვეტილებას

უწოდებენ. სამოქალაქო სექტორში აცხადებენ, რომ საპატრიარქოს ამ პოზიციას ხედისუფრებაც მხარს უჭერს.

„მათი მოთხოვნები, რომედსაც ძირითადად დიდი გავრენა აქვს ხორმი ქართულ პოლიტიკაზე, შეეხება ისეთ საკითხებზე რეგულაციის დაწესებას, რომელიც დაცურია კონსტიტუციით. ეს არის გამოხატვის თავისუფლება. საპატრიარქოს, როგორც ერთ-ერთ დიდ ინსტიტუციას, რომედსაც საკმაოდ მაღალი ავტორიტეტი აქვს, ბუნებრივია აქვს გარკვეული გაუცხოება და შიში კრიტიკის. ამიტომ ამ კრიტიკისგან თავის დაცვას ცდილობს არა სიტყვაზე სიტყვის პასუხით, ამრზე ამრის პასუხით, არამედ დუმილის დაწესებით,“ - აცხადებს არასამთავრობო ორგანიზაცია "საქართველოს დემოკრატიული ინიციატივას" თავმჯდომარე გიორგი მშვენიერაძე.

მეუფე იობის მიერ „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტის გიორგი გაბუნიას ამბიონიდან შეჩვენების ფაქტს ტელეკომპანიის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამიაც გამოეხმაურა.

„მინდა გამოვეხმაურო მეუფე იობის მიერ ამბიონიდან დაწყვედას ჩვენი ჟურნალისტის, რასაც დღემდე არ გაემიჯნა საქართველოს ეკლესია, მეუფე იობი ყვედამ იცის ვინც არის, ის არის ცნობილი ანტიდასავლური მოღვაწე საქართველოში, რომელიც ავრცელებს ანტინატო, ანტიევროპა, ანტიამერიკა განცხადებებს და დითირამბებს

უმღერის რუსეთს, ასეთ ხადხს მოუაროს ურჩევნია საქართველოს ეკდესიამ, ვიდრე საერო საქმეებში ჩაერევა და პოდიტიკურ დღისწესრიგს დაუყენებს საკუთარ თავს. მთავარი, ამ განცხადების შემდეგ, მთერი პასუხისმგებლობა რუსთავი 2-ის ნებისმიერი თანამშრომლის ფიზიკურ და სიცოცხლის უსაფრთხოებაზე ეკისრებათ ამ განცხადების ავტორებს და გამავრცელებლებს, კერძოდ საქართველოს საპატრიარქოს. მოვუწოდებ ყველა საქართველოს სახედმწიფო ინტერესებისთვის განყობილ სამღვდერო პირს, გაემიჯნოს ამ განცხადებას და დაგმოს საპატრიარქოში მოკადრებუდი ის შავრაბმუდი დაჯგუფება, რომერიც დღეს უფსკრუდისკენ მიაქანებს საქართველოს ეკდესიას და ასევე უზარმაზარ ბიანს აყენებს საქართველოს სახედმწიფოს“, – განაცხადა ნიკა გვარამია.

საქართველოს საპატრიარქოს მიერ “რუსთავი 2”-ისთვის ბოიკოტის გამოცხადებას ეხმაურება საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭო.



„საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭო მედიის და ზოგადად, გამოხატვის თავისუფლების წინააღმდეგ გადადგმუდი ნაბიჯად აფასებს საქართველოს მართდმადიდებერი ეკდესიის საპატრიარქოს მიერ გაკეთებუდი განცხადებას, სადაც ის სამღვდეროებას და ყველა მოქადრქეს, “ვისთვისაც ღირებუდია ეკდესია“, “რუსთავი 2-სთვის“ ბოიკოტის გამოცხადებისკენ მოუწოდებს.

საქართველოში, როგორც დემოკრატიუდი ქვეყანაში, ერთ-ერთი უმაღდესი

ღირებულება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებაა. რაც არ უნდა კრიტიკურ და სხვა ჯგუფებისთვის მტკივნეულ თემაზე ამზადებდეს ჟურნალისტი გადაცემას, მისი გამოხატვის თავისუფლება დაცული უნდა იყოს. საპატრიარქოს მიერ მოწოდებული ბოიკოტი სწორედ ამ უფლების განხორციელებას უშლის ხელს, აგრესიის სამიზნედ აქცევს კონკრეტულ ჟურნალისტსა და ზოგადად მთელ მედიას. მით უმეტეს, რომ უკვე არსებობს “რუსთავი 2-ის” წამყვანზე სხვა გადაცემის გამო თავდასხმის პრეცედენტი, რა დროსაც 6 პირი დააკავეს და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდეს. სასამართლო პროცესი დღემდე არ დასრულებულა.

საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია ყოველწინააღმდეგობით მიდიხარ და რას საჯარო ფინანსებიდან ხარჯავს. ამასთან, ერთ-ერთი ყველაზე გავრეიანი ინსტიტუტია. მისი საქმიანობის მიმართ არსებობს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ საპატრიარქომ ითანამშრომლოს და არსებულ კითხვებს უპასუხოს მათ შორის “რუსთავი 2-ის”, როგორც ერთ-ერთი დიდი მაუწყებლის მეშვეობით.

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია მიმართავს ხელისუფლებას, რომელიც უნდა იყოს ქვეყანაში სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების გარანტი, დაიცვას ჟურნალისტების უსაფრთხოება, ამასთან დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია და მაგარიტი მისცეს საზოგადოების სხვა ჯგუფებს ამ ტერეკომპანიასთან თანამშრომლობის გავრძელებით,“ – აღნიშნულია ქარტიის საბჭოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

საქართველოს საპატრიარქო ტერეკომპანია „რუსთავი2“-თან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს. საპატრიარქოს თქმით ტერეკომპანიამ ღვთის მგმობი გადაცემა მოამზადა, სწორედ ამიტომ საპატრიარქო მოუწოდებს სამღვდლოებას, შეწყვიტონ ყოველგვარი ურთიერთობა რუსთავი 2-თან, არ მისცენ ინტერვიუ და არ მიიღონ მათ არცერთ გადაცემაში მონაწილეობა. საპატრიარქოს განცხადებით, სასურველია, იგივე გაითვადისწინონ მათ, ვისთვისაც ღირებულია ეკლესია და ფასეულობები.